გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი#5

25 მაისი 2020 წელი

ქ.ბაღდათი

11.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გია სახამბერიძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

ვლადიმერ წიქორიძე
შადიმან გორგოძე
ზაზა ზივზივაძე
კობა მშვილდაძე
დიომიდე კიკნაველიძე
გაბრიელ ღიბრაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი დავით მშვილდაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ

მომხს: დავით მშვილდაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ გია სახამბერიძემ წარმოადგინა საკითხი: მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა დავით მშვილდაძემ

კომისიის წევრი: დიომიდე კიკნაველიძემ კითხვით მიმართა დავით მშვილდაძეს სოფ. საკრაულაში არის ტრაქტორი, მაგრამ შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ფართობების დახვნას ამ შემთხვევაში ვინ უზრუნველყოფს ტრაქტორის გამოგზავნას, რომ მიწები დამუშავდეს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი: დავით მშვილდაძემ უპასუხა დიომიდე კიკნაველიძეს, რომ გაზაფხულზე შემოვიდა შ.პ.ს მექანიზატორი და ამჟამადაც არის სამი ტრაქტორი რომელიც დაზიანებულია და შეკეთების შემდეგ მოხდება ტრაქტორის გამოგზავნა და იმ მიწის ფართობების დამუშავება სადაც საჭირო გახდება

კომისიის წევრი: ვლადიმერ წიქორიძემ განაცხადა, რომ სოფ.დიმში და სოფ. ობჩაში მიწის ნაკვეთების დახვნის მონაცემები დაბალია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი: დავით მშვილდაძემ განაცხადა, რომ სოფ.დიმში და სოფ. ობჩაში მომართვიანობის შესაბამისად განხორციელდა მიწის ნაკვეთების დახვნის პროცესი. ვინც მოგვმართა და სურვილი ჰქონდათ დაამუშავეს მიწის ნაკვეთები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი: დავით მშვილდაძემ განაცხადა, რომ სოფ. დიდველაში, სოფ. როკითში და სოფ.ზედა დიმში, შეინიშნება ფაროსანის მომრავლება, რაც პრობლემურია და შესაბამისად ჩატარდება შეწამვლის სამუშაოები, რომ აღნიშნული პრობლემა აღმოიფხრას.

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიამ მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ კომისიამ მიიღო ცნობის სახით. კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძე